მდგრადი მაკროეკონომიკური განვითარების და მისი რაოდენობრივი შეფასების კონცეპტუალური და ემპირიული კვლევის ასპექტები საქართველოში

[1]დავით კბილაძე, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,

[2]შორენა მეტრეველი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

[3]თამარ კბილაძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

[1]საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი,[2] ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, [3]ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2023.08.02.14

აბსტრაქტი

მდგრადი განვითარება მიჩნეულია სამყაროს გადარჩენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. აქედან გამომდინარე, გაერო და მისი წევრი ქვეყნების მთავრობები ძალისხმევას არ იშურებენ რათა 2030 წლისთვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი და ეს მოხდეს მდგრადი განვითარების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კომპონენტების ურთიერთჰარმონიზებული განვითარებით. ამასთან ერთად, მდგრადი განვითარების 2030 წლამდე პერიოდის გლობალური და ეროვნული მიზნების შესრულების მიმდინარეობაში გამოვლინდა მრავალი გაუთვალისწინებელი მოვლენა, რაც აუცილებლად საყურადღეობოა ზემოაღნიშნული ამბიციური მიზნების შესრულებისათვის. წინამდებარე პუბლიკაციის მომზადებისას, ავტორები შეეცადნენ გამოევლინათ შემდეგი პრობლემები:

- მდგრადი მაკროეკონომიკური განვითარების ფენომენისა და მისი კონცეპტუალურ
- მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრის მიზნით მის კონცეფციაში შემოტანილია მდგრადი მაკროეკონომიკური განვითარების კომპონენტი, აგრეთვე,

საქართველოს მაგალითზე, გამოკვლეულ - გაანალიზებულია მისი რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგია;

- შემოთავაზებულია წინადადება, ახალი ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებში, ახალი მაკრო მაჩვენებლების შემოტანის თაობაზე, რაც უკეთ დაახასიათებს ქვეყნის მაკროეკონომიკურ სურათს და მდგრადი განვითარების სამომავლო კონტურებს.

ძირითადი სიტყვები: მდგრადი მაკროეკონომიკა, მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობა, ეკონომიკის ტრანსფორმაცია, ეკონომიკური ზრდა, მდგრადი განვითარება, სოციალური პროგრესი, ეკოლოგიური გარემო.

Abstract

Conceptual and empirical research aspects of sustainable macroeconomic development and its quantitative assessment in Georgia

[1]David Kbiladze, Doctor of Economics, Professor,

[2]Shorena Metreveli, Doctor of Economics, Associate Professor

[1]Davit Aghmashenebeli University of Georgia, [2]University of Business and Technology, [3]Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamar Kbiladze, Doctor of Business Administration, Assistant Professor

Sustainable development is considered as one of the important factors for the survival of the world. Therefore, the UN and the governments of its member countries are making efforts to significantly improve the quality of life of the population by 2030, and this will happen through the mutually harmonized development of the economic, social and ecological components of sustainable development. Along with this, in the course of fulfilling the global and national goals of the period of sustainable development until 2030, many unforeseen events were revealed, which

are definitely noteworthy for the fulfillment of the above-mentioned ambitious goals. In preparing this publication, the authors tried to identify the following problems:

- In order to solve the phenomenon of sustainable macroeconomic development and its conceptual-methodological problems, the component of sustainable macroeconomic development has been introduced into its concept, as well as, on the example of Georgia, its quantitative assessment methodology has been researched and analyzed;
- In the conditions of the functioning of the new economy, a proposal is proposed to introduce new macro indicators, which will better characterize the macroeconomic picture of the country and the future contours of sustainable development.

შესავალი

მდგრადი განვითარება განსკუთრებით აქტუალური გახდა მაშინ, როდესაც იგი სამყაროს გადარჩენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნიეს. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში და პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში მათი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ეკონომიკის ტრანსფორმაცია აღიარებულ იქნა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად.

პოსტკომუნისტური სახელმწიფოების და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციების დახმარებით ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ამ ქვეყნებში ეკონომიკის ტრანსფორმაციაზე. ეს პროცესი არ გამოდგა მარტივი. იგი საკმაოდ გახანგრძლივდა საქართველოშიც, სადაც ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარება ერთ-ერთ რთულ პრობლემად ჩამოყალიბდა. საერთო მაკროეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში იმდენად გართულებული იყო რომ ეკონომიკური განვითარების მხრივ მხოლოდ 2019 წელს გახდა შესაძლებელი 1990 წლის დონის მიღწევა, რომელიც სსრკ-ს დაშლის პერიოდად არის აღიარებული. მაკროეკონომიკური სიტუაციის დახასიათებას საფუძვლად უდევს პოსტკეინსიანური ე.წ. „მაგიური ოთკუთხედის“ იდეოლოგიის ანალიზი. აქვე გაანგარიშების ალტერნატიულ ვარიანტად განხილულია „მაგიური ხუთკუთხედის“ ავტორებისეული კონცეფცია და სათანადო გაანგარიშებები; მდგრადი განვითარების ამჯამად არსებულ კომპონენტებთან ერთად შემოტანილია მათი თანმხლები მოვლენა (მაკროეკონომიკური

განუსაზღვრელობა). გარდა ამისა ახალი ეკონომიკური სისტემის დახასიათებისათვის შემოთავაზებულია თანამედროვე მაჩვენებელთა სისტემა.

არსებული მდგრადი მაკროეკონომიკური განვითარების კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური საფუძველი

მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები დღენიადაგ ფიქრობენ, ეკონომუკური განვითარების როგორი დღის წესრიგი შესთავაზონ მსოფლიო თანამეგობრობას, ასეთი ძიების შედეგად, შემუშავებულია ეკონომიკის მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც შინაარსობრივად გულისხმობს, საყოველთაოდ აღიარებულ თეზას - დავუტოვებთ კი მომავალ თაობებს რესურსების იმ მარაგს, რასაც ამჟამად ჩვენ მოვიხმართ? ეკონომიკის მდგრადი განვითარების შემადგენელ ნაწილებად აღიარებულია: სოციალური პროგრესი, ეკოლოგიური მდგომარეობა და ეკონომიკური ზრდა. მსოფლიოს ცნობილი მეცნიერების, ნაციონალური მთავრობების და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთო ძალისხმევით, გაეროს მიერ მიღებულია 2030 წლამდე პერიოდის მდგრადი განვითარების მიზნები, რომელსაც თავისი შინაარსით და კომპლექსური ხასიათით ეპოქალური მნიშვნელობა გააჩნია. ასეთი მნიშვნელოვანი მიზნების რეალიზებაში გასათვალისწინებელია ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაქტორი, რომელიც დიდი დოზითაა წარმოდგენილი არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეკონომიკური განუსაზღვრელობის ტრადიციულ ნაირსახეობებს ამჟამად დაემატა სრულიად ახალი, დღემდე უცნობი მიმართულება კორონავირუსის სახით, რომელმაც ახალი ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. მოცემული კრიზისის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოიშვა არა ეკონომიკაში, არამედ მედიცინის სფეროში, მას კოროეკონომიკას ეძახიან. (Papava V, 2020). მაინც რას წარმოადგენს განუსაზღვრელობა? მსოფლიო მეცნიერების მიერ შეთანხმებული პარადიგმით ეს არის დაცილება მოსალოდნელ მდგომარეობას და ეკონომიკურ - ორგანიზაციული სისტემის რეალურ განვითარებას შორის. (Bloom N. 2014).

შევეცადოთ მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობის ფენომენი გავაშუქოთ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის მაგალითზე.

საქართველოს ეროვნული ეკონომიკა თავისი გაჭიანურებული, გარდამავალი პერიოდით გლობალური და ლოკალური გამოწვევების წინაშეა. ქვეყანამ დამოუკიდებლობის აღდგენის 30-ე წლის თავზე ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით მხოლოდ 2019 წელს მიაღწია 1990 წლის დონეს. ეკონომიკის მყისიერი დაქვეითების შემდეგ ყოველწლიური ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 3%-ის ფარგლებშია. სამწუხაროდ, დასაქმების მაჩვენებელი არათუ ვერ ეწევა ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელს, პირიქით დაქვეითების ტენდენციით ხასიათდება. საგარეო სავაჭრო ბრუნვაში სამამულო წარმოებამ ასპარეზი დაუთმო საქონლისა და მომსახურების იმპორტს და ასეთი არასახარბიელო მაკროეკონომიკური გარემოს ფონზე ინფლაციის მაჩვენებლის საკმაოდ დაბალი ნიშნულები მრავალ კითხვის ნიშაბს აჩენს არამარტო მოსახლეობის, არამედ სპეციალისტების წრეებშიც. მოკლედ, სახეზე გვაქვს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური ,,მაგიური ოთხკუთხედის'' მოთხოვნათა უგულვებელყოფა, იმ გაგებით, რომ ოთხკუთხედის მხარეებად განხილული მაკროეკონომიკური პარამეტრები: ,,მთლიანი შიდა პროდუქტი, დასაქმება, საგარეო ვაჭრობის სალდო და ინფლაცია'' უნდა ასტიმულირებდნენ ერთმანეთის განვითარებას და ყველა ერთად ქვეყნის სტაბილურ, ეკონომიკურ ზრდას, რაც ამჟამინდელი მდგომარეობით ძალზე შორსაა სასურველისაგან.

ქვეყნის მაკროეკონომიკურ დონეზე განუსაზღვრელობის ფაქტორის შესაფასებლად გთავაზობთ, ეგრეთ წოდებული ,,მაგიური ოთხკუთხედის'' ,,მაგიური ხუთკუთხედით'' ჩანაცვლების იდეას, როდესაც ზემო აღნიშნულ მაჩვენებლებს ვუმატებთ მეხუთე მაჩვენებელს და ეს არის ქვეყანაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები. რატომ შევჩერდით ,,მაგიურ ხუთკუთხედზე'' განუსაზღვრელობის განმარტების და რაოდენობრივი შეფასების ძიებაში? იმიტომ რომ პირველ რიგში ,,მაგიური ოთხკუთხედის კონცეფციას არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა და მისი გათანამედროვებით - მეხუთე პარამეტრის შემოტანით ეკონომიკური განუსაზღვრელობის ახალი შემოთავაზებით და მისი რაოდენობრივი შეფასების თეორიულ - მეთოდოლოგიური პრობლემების დამუშავებით, ახალი სიცოცხლე (იმპულსი) მიეცემა სახელმწიფოს როლის გაძლიერებას ეკონომიკური სისტემის

რეგულირებაში. მეხუთე პარამეტრი - უცხოური ინვესტიციები აუცილებელი კომპონენტია განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების განვითარებაში.

მაგიური ,,ხუთკუთხედის'' მხარეთა აღწერილობა ასეთნაირად გამოიყურება:

1. დასაქმება; 2. ინფლაცია; 3.ინვესტიციები; 4.პროდუქციის ექსპორტით იმპორტის გადაფარვა; 5. მთლიანი შიდა პროდუქტი

მაკროეკონომიკური მაგიური ხუთკუთხედის მხარეთა პარამეტრები (1, 2, 3, 4) მივიჩნიოთ დამოუკიდებელ ცვლადებად, ხოლო მეხუთე პარამეტრი - მთლიანი შიდა პროდუქტი დამოკიდებულ ანუ საშედეგო ცვლადად.

როგორ გავზომოთ მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობა?

- მოვლენათა შორის დამოკიდებულების ასახსნელად გამოვიყენოთ ფორმულა

Y=f (x_1, x_2, x_3, x_4) (1)

- გამოვთვალოთ კორელაციის მრავლობითი კოეფიციენტი R.
- კორელაციის მრავლობითი კოეფიციენტი გამოვაკლოთ ერთიანს, როგორც მოვლენათა შორის სიმჭიდროვის უმაღლეს ნიშნულს. ამით ვღებულობთ მაკროეკონომიკური სიტუაციის მხარეთა დისბალანსის მაჩვენებელს. მისი ფორმულა ასეთი იქნება: D= (1- R) (2) , სადაც:

  D არის მაკროეკონომიკური სიტუაციის მხარეთა დისბალანსის მაჩვენებელი;

  R არის კორელაციის მრავლობითი კოეფიციენტი.
- ამის შემდეგ ვღებულობთ მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობის მაჩვენებელს

  Z =(D_1 - D_0) (3)

მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობის შეფასების ემპირიული კვლევის შედეგები საქართველოში

ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის კეინზიანური მოძღვრების შედეგად განსაზღვრული ძირითადი მახასიათებლების ჩამონათვალს დავუმატოთ 2015 – 2022 წლებში საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი და

ამის მიხედვით მოვახდინოთ მაკროეკონომიკური მახასიათებლების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, რისთვისაც ჩავატარეთ მრავლობითი კორელაციის გაანგარიშება. როგორც ვიცით, რეგრესიის (ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა შორის კავშირის) სტატისტიკური მოდელი გამოიხატება შემდეგი ფორმულით (ფუნქციით)

$Y_X = \mathrm{f}\,(x_1, x_2, x_3; x_4)$

ჩვენ შემთხვევაში $x_1, x_2, x_3; x_4$ დამოუკიდებელი ანუ ფაქტორული ნიშნებია, ხოლო Y საშედეგო ნიშანი.

მაგიური ხუთკუთხედის მხარეთა მახასიათებელი 2015-2022 წლების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მოტანილია ქვემოთმოყვანილ ცხრილში.

ცხრილი N 1

ქვეყნის ძირითადი მაკრომაჩვენებლები 2015-2022 წლების მიხედვით

წელი	მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში (მლნ. აშშ დოლარი) (y)	დასაქმება (მლნ. კაცი) (X1)	ინფლაცია (X2)	საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი) (X3)	ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელი (X4)
2015	14948.2	1.3085	1.049	1729	0.30
2016	14755.1	1.2945	1.018	1654	0.29
2017	14594.6	1.2869	1.067	1991	0.34
2018	15145.0	1.2962	1.015	1351	0.36
2019	14294.3	1.2959	1.070	1354	0.40
2020	12082.7	1.2418	1.024	595	0.42
2021	12886.3	1.2174	1.139	1253	0.42
2022	15674.7	1.2837	1.098	2098	0.43

მოტანილი მაკრომაჩვენებლების მიხედვით ჩატარებული რეგრესიული ანალიზით მივიღებთ შემდეგ განტოლებას:

$Y = -11664.9951 + 20004.8128X_1 - 3715.1327X_2 + 1.6794X_3 + 4886.1013X_4$.

რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი შედეგები. მოდელის პარამეტრების ეკონომიკური ინტერპრეტაცია ასეთია:

X_1 (დასაქმება) ერთი ერთეულით გადიდება იწვევს Y-ის (მშპ) გადიდებას საშუალოდ 20004.8128 ზომის ერთეულით.

X_2 (ინფლაცია) ერთი ერთეულით გადიდება იწვევს Y-ის (მშპ) შემცირებას საშუალოდ 3715.1327 ზომის ერთეულით.

X_3 (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) ერთი ერთეულით გადიდება იწვევს Y-ის (მშპ) გადიდებას საშუალოდ 1.6794 ზომის ერთეულით.

X_4 (ექსპორტით იმპორტის გადაფარვა) ერთი ერთეულით გადიდება იწვევს Y-ის (მშპ) გადიდებას საშუალოდ 4886.1013 ზომის ერთეულით.

კორელაციის მრავლობითი კოეფიციენტის გაანგარიშებამდე ავაგოთ კორელაციის წყვილადი კოეფიციენტების მატრიცა R. მას შემდეგი სახე აქვს:

კორელაციის წყვილადი კოეფიციენტის მატრიცა

ცხრილი N 2

-	y	x_1	x_2	x_3	x_4
y	1	0.8211	-0.1147	0.8447	-0.4199
x_1	0.8211	1	-0.512	0.5665	-0.639
x_2	-0.1147	-0.512	1	0.2458	0.5397
x_3	0.8447	0.5665	0.2458	1	-0.3626
x_4	-0.4199	-0.639	0.5397	-0.3626	1

როგორც მოტანილი ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, ყველა წყვილად კოეფიციენტებში დაფიქსირდა კორელაციური კავშირი.

ამის შემდეგ გადავიდეთ კორელაციის კერძო კოეფიციენტების განხილვაზე. როგორც გვახსოვს, კორელაციის კერძო კოეფიციენტი მარტივი წყვილადი წრფივი

კოეფიციენტისგან განსხვავდება იმით, რომ იგი ზომავს შესაბამისი ნიშნების (X და Y) წყვილად კორელაციას იმ პირობით, რომ მათზე დანარჩენი ფაქტორბეის (X) გავლენა გამორიცხულია.

კორელაციის კერძო კოეფიციენტების საფუძველზე, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რეგრესიულ მოდელში ცვლადების შეტანის დასაბუთებულობის შესახებ. ანუ განიხილება ვარიანტები, როცა კავშირი მოცემულ ფაქტორსა და საშედეგო ცვლადს შორის ან ძალიან სუსტია ან საერთოდ არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში, მოცემული ფაქტორი შეიძლება გამოირიცხოს მოდელიდან.

რა გვიჩვენა ჩვენი კვლევის შედეგებმა? კავშირები კერძო კორელაციის თითოეულ შემთხვევაშია გამოვლენილი, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი კოეფიციენტები რიგ შემთხვევაში ძლიერია, ზოგჯერ ზომიერი და ზოგჯერაც სუსტი.

ახლა გადავიდეთ კორელაციის მრავლობითი კოეფიციენტის გაანგარიშებაზე, რომელიც გვიხასიათებს მაკროეკონომიკური ფაქტორების ერთობლივ გავლენას საშედეგო დამოკიდებულ ფაქტორზე.

კორელაციის კოეფიციენტის (R) მნიშვნელობის სიახლოვისას 1-თან, რეგრესიის განტოლება უკეთ ახასიათებს ფაქტობრივ მონაცემებს და ფაქტორები ძლიერად მოქმედებენ შედეგზე. თუ R- ის მნიშვნელობა ახლოსაა 0-თან, რეგრესიის განტოლება ცუდად აღწერს ფაქტობრივ მონაცემებს და დამოუკიდებელი ფაქტორები სუსტად ზემოქმედებენ საშედეგო ფაქტორზე. ამრიგად, ჩვენს შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ ძლიერია.

ასე, რომ

$$R=\sqrt{1-\frac{s_\varepsilon^2}{\sum(y_i-\overline{y})^2}}=\sqrt{1-\frac{929049.739}{10232847.37}}=0.9535$$

ამრიგად კორელაციის მრავლობითი კოეფიციენტი ტოლია 0, 9535

რაც მიგვანიშნებს მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორების ძლიერ სიმჭიდროვეზე.

დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2 = **0.9092**

რეგრესიის განტოლების სტატისტიკური მნიშვნელოვნება შევამოწმეთ დეტერმინაციის კოეფიციენტით და ფიშერის კრიტერიუმით. β_3=0,664 მაქსიმალური კოეფიციენტის

მიხედვით, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ y-ის საშედეგო მნიშვნელობაზე მაქსიმალურ გავლენას ახდენს X_3 ფაქტორი, ე.ი ქვეყანაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები.

კორელაციის მრავლობითი კოეფიციენტის გაანგარიშების შემდეგ გამოვთვალოთ ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის დისბალანსის მაჩვენებელი:

D = (1-R)=(1-0,9535) = 0,0465

მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობის მაჩვენებელი = Z =(D_1 - D_0) ;

სადაც Z არის მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობის მაჩვენებელი;

D_0 არის მაკროეკონომიკის მდგომარეობის დისბალანსის ამჟამინდელი მაჩვენებელი;

D_1 არის დისბალანსის ამჟამინდელი მაჩვენებლისგან მოსალოდნელი მაჩვენებლის დაცილება. ამ უკანასკნელის შეფასება კორონავირუსის მოულოდნელმა და მასობრივმა გავრცელებამ შეუძლებელი გახადა. თუმცა, 2020 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის შემციერების საპროგნოზო მაჩვენებელს მსოფლიო ბანკის ექსპერტები 5%-ის ფარგლებში ვარაუდობენ. და ბოლოს, მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობის დისბალანსის საპროგნოზო მოდელში საჭიროა შემოვიტანოთ e მაჩვენებელი და მას ასეთი სახე ექნება:

Z =(D_1 - D_0) + e, (4)

მიუხედავად იმისა, რომ D_1- სა და D_0 -ში გარკვეული დოზით ასახულია ეკონომიკური განუსაზღვრელობის ნიშნულები, შემოთავაზებული მოდელის e პარამეტრი ითვალისწინებს კორონავირუსის, მიწის ძვრების, წყალდიდობებისა, ღვარცოფების და სხვა სახის გაუთვალისწინებელ მოვლენებს.

დასკვნა

მოცემულ სტატიაში განხილულია საქართველოში მდგრადი განვითარების პრობლემატიკა. განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდის ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს, ეკონომიკის გართულებული ტრანსფორმაციის საკითხს, რომლის დადასტურებაა ის ვითარება, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველომ მხოლოდ 2019 წელს მიაღწია 1990 წლის დონეს.

სტატიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მდგრადი განვითარების ისეთ თანმხლებ მოვლენას, როგორიცაა მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობა, მისი რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგია და მის საფუძველზე, ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით ჩატარებულ კვლევას. ვფიქრობთ, კვლევის შედეგები გამოადგება მოცემული პრობლემატიკით დაინტერესებულ საზოგადოებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იოსებ არჩვაძე, კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები (პოლიტ- ეკონომიკური ასპექტი), თბილისი, 2020
2. ნოდარ ჭითანავა, გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში, საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები, თბილისი, 2021
3. Bloom N. (2014). Fluctuations in Uncertainty. Journal of Economic Perspectives, Vol. 28, No. 2, p. 153–176.
4. IMF (2019). Georgia: Fourth review under the extended fund facility arrangement and request for modifications of quantitative performance criteria. IMF Country Report, No.19/171
5. David Kbiladze, Shorena Metreveli, The Shadow Economy is Retreating: The Example of Georgia , Ekonomika: Vol. 95 No. 2 (2016): Ekonomika
6. David Kbiladze, Shorena Metreveli, The Search for Modern Methods for Statistical Quality Control of Services , Ekonomika: Vol. 96 No. 2 (2017): Ekonomika
7. David Kbiladze, Shorena Metreveli, Tamar Kbiladz, Transformation of the economy of post-communist Georgia on the 30th anniversary of the restoration of independence , SCIENTIFIC JOURNAL „SPECTRI “ , Vol.7 No1 (2023)
8. Voluntary National Review, 2020, Georgia;
9. Papava V. (2020). Coronomics and Qualitatively New Economic Crisis. Journal Economics and Business, Vol. 12, No. 2, p. 13–16

10. World Bank (2018). New country classifications by income level: 2018-2019. World Bank Blogs, July 1